საქმე N 330210014479012

1114590288732

თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქმე №2ბ/2968-14 **27 მაისი 2014 წელი**
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე - ხათუნა არევაძე
მოსამართლეები: ნატალია ნაზღაიძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე;

კერძო საჩივრის ავტორი – ვ. ხ.

წარმომადგენელი - მ. ტ.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს ,,კ. ვ.“

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 აპრილის განჩინება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოარკვია:
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა ს. ხ.-ს განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ყადაღა დაედო ქ. თბილისში, პირველ საშუალო სკოლასა და შ.-ს ქუჩას შორის (ნაკვეთი

XXX/XXX) მდებარე სადარბაზო X, სართული XX, №XX ბინას (ფართით 205.48 კვ.მ), საკადასტრო კოდი №XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, რომელზედაც რეგისტრირებულია შპს ,,კ. ვ.-ს'' (ს/კ XXXXXXXXX) საკუთრების უფლება. არ დაკმაყოფილდა ს. ხ.-ს განცხადება დ. ნ.-ს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე.
2014 წლის 14 აპრილს ს. ხ.-მ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შპს ,,კ. ვ.-ს" მიმართ. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს ,,კ. ვ.-სათვის" მოსარჩელის სასარგებლოდ 52 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება (ს.ფ. 41–51).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით ს. ხ.-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელზე შეადგენს დავის საგნის 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულება განისაზღვრა მოთხოვნილი თანხით - 52000 აშშ დოლარით და სარჩელზე გადასახდელი ბაჟი შეადგენდა 1560 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება იმ მოტივით, რომ მისი შვილი – ვ. ხ., არის შეზღუდულქმედუნარიანი, შრომისუუნარო პირი, რომელიც საჭიროებს მომვლელს; ამასთან, გააჩნია მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეს განუმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდისგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

განჩინებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე რაიმე მტკიცებულებანი წარდგენილი არ იყო, ხოლო მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა საკმარისს საფუძველს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გასათავისუფლებად. ამიტომ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი და სასამართლოსთვის უნდა

წარმოედგინა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი(დედანი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექის 199[1]-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ" და „ი" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი სრულად გადახდილი არ იყო, რაც წარმოადგენდა მისი წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული, გაუქმდა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება. 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით გაუმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. თბილისში, პირველ საშუალო სკოლასა და შ.-ს ქუჩას შორის (ნაკვეთი XXX/XXX) მდებარე სადარბაზო X, სართული XX, ბინა №XX-ს (ფართით 205.48 კვ.მ), საკადასტრო კოდი №XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, რომელზედაც რეგისტრირებულია შპს ,,ვ. ვ.-ს'' (ს/კ XXXXXXXXX) საკუთრების უფლება.

2014 წლის 5 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კერძო საჩივარი წარადგინა ვ. ხ.-ს წარმომადგენელმა - მ. ტ.-მ (ტომი პირველი, ს.ფ. 68-69). კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება, მოსარჩელე ს. ხ.-ს ნაცვლად მოსარჩელედ ვ. ხ.-ს აღიარება, შემდეგ გარემოებათა გამო:

– კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, <u>**სარჩელი არასწორად არის დაყენებული, კერძოდ, მოსარჩელე არის ვ. ხ. და არა ს. ხ., არასწორად არის ასევე მითითებული სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელზე გადასახდელი ბაჟი;**</u>
– საჩივრის ავტორი მოითხოვს მოსარჩელედ მიჩნეული იქნას ს. ხ.-ს ნაცვლად ვ. ხ.. ამასთან, საჩივარში აღნიშნულია, რომ ვ. ხ. არის შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირი და სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულია.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა ვ. ხ.-ს კერძო საჩივარი და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს; შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 აპრილის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, **რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.** კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დასახელებული ნორმით დადგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის LI თავში მოცემული წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის საგამონაკლისო შემთხვევები და კანონმდებელი კერძო საჩივრის დაშვებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ განჩინების მიმართ, რომლის გასაჩივრების წესად საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს კერძო საჩივრის შეტანას.

სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ მხარის მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მითითებული გარემოებები, როგორიცაა არასათანადო პირის მიერ სარჩელის აღძვრა, სასარჩელო მოთხოვნის არასწორად მითითება, წარმოადგენს არა კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების, არამედ სწორედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის

საფუძველს;

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ კერძო საჩივრის განხილვის ფარგლებში ვერ იმსჯელებს კერძო საჩივრის ავტორის (ვ. ხ.-ს) მოთხოვნაზე მოსარჩელის შეცვლის თაობაზე, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს **<u>საქმის განხილვის დროს შეუძლია</u>** მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით და არა ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი წარმოებაში არ არის მიღებული.

სამოქალაქო საქმეთა პალატა დამატებით მიუთითებს, რომ მხარე, სსს კოდექსის მე–3 და მე–4 მუხლების შესაბამისად, **<u>თვითონ იწყებს საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით; იგი თვითონვე განსაზღვრავს: მოთხოვნის არსს და მის დასაბუთებას, მოპასუხე მხარეს, ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მოთხოვნას ან მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ დასახელებულ ფაქტებს;</u>** როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ მოსარჩელე ს. ხ.-ს ბაჟის გადაუხდელობის გამო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, აღნიშნული უარი არც ს. ხ.-ს და არც მის შვილს - კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით - სათანადო მოსარჩელეს – ვ. ხ.-ს, არ უზღუდავს უფლებას ხელახლა მიმართონ სასამართლოს და ჩამოაყალიბონ სარჩელი სრულყოფილი სახით, დააზუსტონ სასარჩელო მოთხოვნა და ა. შ. უფრო მეტიც, მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯეროვანი სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ ჯეროვანი სარჩელის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მას ეძლევა შესაძლებლობა სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს და სრულყოფილი სახით წარადგინოს იგი სასამართლოში;

იმის გამო რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე განმცხადებელს სწორად ეთქვა უარი, შესაბამისად, მართებულად განხორციელდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა სრულად ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი, მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე, არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 377-ე, 419-ე, 420-ე და 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ვ. ხ.-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე: **/ხათუნა არევაძე/**

მოსამართლეები: **/ნატალია ნაზღაიძე/**

/ვანო წიკლაური/